ოქმი:**ო08. 3726027001**

თარიღი:**27/01/2026**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 26 იანვარი

ქ.ოზურგეთი

15:00 – 15:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, დ. ასათიანი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. N26.05.38.169) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე, ხოლო ვრცლად ამავე საკითხზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა სახელმწიფოსთვის სოფელ მერიაში ხდება სასოფლო ამბულატორიის შენობის ასაგებად, რაც მისასალმებელია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ვრცლად საკითხზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნულ დადგენილებას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის არაუგვიანეს თებერვლის თვისა იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილებაში ცვლილებების შეტანა არ ააქვს დაგეგმილი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ორივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი